

წინამდებარე სტანდარტზე გადასვლა

მოქმედების სფერო

19.1 საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტს, წინამდებარე განყოფილება უნდა გამოიყენოს პირველი ფინანსური ანგარიშგების შედგენისას, რომელშიც განაცხადებს ამ სტანდარტთან შესაბამისობას.

ეს განყოფილება მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც საწარმო პირველად ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად. ანგარიშგება უნდა შეიცავდეს ცალსახა და უპირობო განცხადებას ამ სტანდარტთან შესაბამისობის თაობაზე (იხ. პუნქტი 3.2).

19.2 საწარმოსთვის წინამდებარე სტანდარტზე გადასვლის თარიღი არის ყველაზე ადრინდელი პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც საწარმო ამ სტანდარტის შესაბამისად წარადგენს სრულ შესადარის ინფორმაციას პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელშიც განაცხადებს ამ სტანდარტთან შესაბამისობას.

მაგალითი 1- სტანდარტზე გადასვლის თარიღი

A საწარმო ამ სტანდარტს პირველად 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იყენებს.

A საწარმო 2017 წლის შესადარის ინფორმაციას წარადგენს (პუნქტის, 19.2 მოთხოვნის შესაბამისად). გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

თუმცა, თუ A საწარმო ნებაყოფილობით გამონაკლისს იყენებს შესადარის ინფორმაციის წარდგენასთან მიმართებით (იხ. პუნქტი 19.5 (ა)), მაშინ მისი გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

19.3 წინამდებარე განყოფილება ვრცელდება იმ საწარმოებზეც, რომლებიც გასულ საანგარიშგებო პერიოდში იყენებდნენ წინამდებარე სტან-

დარტს, მაგრამ მათი უახლესი წლიური ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავდა ცალსახა და უპირობო განცხადებას მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტთან შესაბამისობის შესახებ.

მაგალითი 1 (განვრცობილი) - სტანდარტზე გადასვლის თარიღი

A საწარმოს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება შედგენილია წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად (იხ. ზემოთ).

A საწარმოს 2019 წლის და 2020 წლის ფინანსური ანგარიშგებები შედგენილია მცირე და საშუალო საწარმოების ფასს სტანდარტის შესაბამისად.

საწარმო წინამდებარე სტანდარტის გამოყენებას დაუბრუნდა 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

A საწარმომ 2020 წლის შესადარისი ინფორმაცია უნდა ასახოს 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. თუმცა, ამ სტანდარტის ხელახლა გამოყენების თარიღია 2021 წლის 1 იანვარი, რადგან 2020 წლის წარდგენილი შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება შეუძლებელია (იხ. პუნქტი 4.9).

გადასვლის პრინციპები

19.4 საწარმო მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ისე, თითქოს იგი ყოველთვის ამ სტანდარტს იყენებდა. სხვა სიტყვებით, საწარმომ წინამდებარე სტანდარტზე გადასვლის თარიღით:

- (ა) უნდა აღიაროს ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა აღიარებაც მოითხოვება მოცემული სტანდარტით;
- (ბ) არ უნდა აღიაროს ისეთი მუხლები აქტივებად ან ვალდებულებებად, რომელთა აღიარებაც ნებადართული არ არის ამ სტანდარტით;
- (გ) რეკლასიფიკაცია, რომლებიც, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლების თანახმად, აღიარებული იყო ერთი ტიპის აქტივად, ვალდებულებად, ან საკუთარი კაპიტალის კომპონენტად, მაგრამ წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად წარმოადგენს სხვა ტიპის აქტივს, ვალდებულებას ან საკუთარი კაპიტალის კომპონენტს; და
- (დ) მოცემული სტანდარტი გამოიყენოს ყველა აღიარებული აქტივისა და ვალდებულების შესაფასებლად.

საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს წინამდებარე სტანდარტს, სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც იგი იყენებს წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად პირველი ფინანსური ანგარიშგების შესადგენად, შეიძლება განსხვავდებოდეს ადრინდელისგან. შედეგად, კორექტირებები წარმოიქმნება ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე მომხდარი მომვლებისა და

ომპერაციებისთვის. ამგვარად, საწარმომ აღნიშნული კორექტირებები პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში უნდა აღიაროს (ან, თუ შესაფერისია, საკუთარი კაპიტალის სხვა კატეგორიაში) ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღით.

წინამდებარე სტანდარტით საწარმოს არ მოეთხოვება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საწყისი ნაშთების ასახვა. ამ სტანდარტის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების შედგენისას საწარმო, როგორც წესი, ამზადებს საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, რომელიც შეესაბამება ამ სტანდარტს, საწარმოს სტანდარტზე გადასვლის თარიღით. გარდა ამ განყოფილებაში მოცემული მოთხოვნებისა, საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ისე უნდა მომზადდეს, თითქოს საწარმო ყოველთვის წინამდებარე სტანდარტს იყენებდა. სხვა სიტყვებით, როგორც ამ სტანდარტის სხვა განყოფილებებით მოითხოვება, საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

- შედის საწარმოს ყველა აქტივი და ვალდებულება, რომლებიც აღიარებულია წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად;
- ეს აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად; და
- ეს აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად.

სხვა სიტყვებით, პირველად გამოყენების წესებით მიჩნეულია, რომ საწარმო ყოველთვის იყენებდა წინამდებარე სტანდარტს.

თუმცა, მე-19 განყოფილებაში მოცემულია ნებაყოფლობითი გამონაკლისები სტანდარტზე პირველად გადასვლის წესებიდან (იხ. პუნქტები 19.5 და 19.6).

ამ სტანდარტზე გადასვლის წესებიდან ნებაყოფლობითი გამონაკლისები (სტანდარტის პირველად გამოყენებისას)

19.5 მხოლოდ იმ საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს წინამდებარე სტანდარტს, სტანდარტზე გადასვლის თარიღით შეუძლია გადასვლის წესების ქვემოთ ჩამოთვლილი შეღავათებიდან ერთ-ერთის არჩევა:

- (ა) არ წარადგინოს შესადარისი ინფორმაცია მოცემული სტანდარტის შესაბამისად შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში. საწარმოსთვის, რომელიც აირჩევს ამ გამონაკლისის გამოყენებას, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღი არის მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად შედგენილი პირველი ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე წლის დასაწყისი;

ზემოთ იხილეთ 1-ლი მაგალითი.

- (ბ) წარადგინოს მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (და

სამი სავალდებულო განმარტებით შენიშვნა) მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად შედგენილ პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში. საწარმოსთვის, რომელიც აირჩევს ამ გამონაკლისის გამოყენებას, მოცემულ სტანდარტზე გადასვლის თარიღი არის მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად შედგენილი პირველი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღი, რომელიც ამასთანავე არის მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად შედგენილი მისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ამ ნებაყოფილობითი გამონაკლისის გამოყენების შემთხვევაში საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ამ სტანდარტს, თავის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში არ მოეთხოვება შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენა. მისი პირველი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას და პუნქტით 3.15 განსაზღვრულ შენიშვნებს.

- 19.6 წინამდებარე სტანდარტზე გადასვლის თარიღით საწარმოს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი ძირითადი საშუალებების (მათ შორის, საინვესტიციო ქონების), ან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივის შეფასება ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის მისი საბაზრო ღირებულების ოდენობის საიმედოდ შეფასებით (ე.ი. იმ ოდენობით, რა ფასადაც შეუძლია მას აქტივის გაყიდვა) და შეუძლია ეს ღირებულება გამოიყენოს, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება ზემოაღნიშნული თარიღით.

მაგალითი 2- დასაშვები საწყისი ღირებულება

A საწარმოს საკუთრებაშია ქონება (მიწის ნაკვეთი და შენობა) რომელსაც იყენებს სასტუმროს მართვისთვის. A საწარმომ ეს ქონება ოცი წლის წინ შეიძინა და მას შემდეგ ბევრჯერ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. თუმცა, A საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერებში დეტალური ინფორმაციის ნაკლებობა ხელს უშლის მის ხელმძღვანელობას მიწისა და შენობის გაუმჯობესებაზე გაწეული პირვანდელი დანახარჯების ერთმანეთისგან განცალკევებაში.

მიუხედავად ამისა, A საწარმომ, პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად არის შედგენილი, შენობა უნდა განაცალკევოს მიწის ნაკვეთისგან, რომელზეც ის არის აშენებული. გარდა ამისა, მე-7 განყოფილების - *გრძელვადიანი აქტივები* - შესაბამისად შენობას ცვეთა უნდა დაერიცხოს, მიწის ნაკვეთს კი არა.

სტანდარტის პირველად გამოყენების წესებში გათვალისწინებული გამონაკლისის (დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენება) ნებაყოფილობით გამოყენების უფლება A საწარმომ ამ სტანდარტის შესაბამისად შედგენილ

საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიწის ნაკვეთის შენობის-გან განცალკევებით აღიარებისა და შეფასების პრაქტიკულ შესაძლებლობას აძლევს. დასაშვები საწყისი ღირებულების გამონაკლისის გამოყენებით A საწარმო ცალ-ცალკე შეაფასებს მიწის ნაკვეთსა და შენობას სტანდარტზე გადასვლის თარიღით თითოეული მათგანის საბაზრო ღირებულების საიმედოდ შეფასებით.

დასაშვები საწყისი ღირებულების ნებაყოფილობითი გამონაკლისის გამოყენება შეიძლება მხოლოდ სტანდარტზე გადასვლის თარიღით (ანუ სტანდარტის შესაბამისად შედგენილი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღი). მაშასადამე, A საწარმომ უნდა დაიცვას მე-7 განყოფილებაში - *გრძელვადიანი აქტივები* - მოცემული მოთხოვნები.

მაგალითი 3- დასაშვები საწყისი ღირებულება

B საწარმოს ხელმძღვანელბამ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (B საწარმოს წინამდებარე სტანდარტზე გადასვლის თარიღი) თავისი ავტომანქანის შესახებ მოიპოვა შემდეგი ინფორმაცია:

- საბალანსო ღირებულებაა 20,000 ლარი საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად, რომელსაც საწარმო წინამდებარე სტანდარტზე გადასვლამდე იყენებდა. (ანუ 60,000 ლარი ღირებულება შემცირებული 40,000 ლარი დაგროვილი ცვეთით);
- საბალანსო ღირებულებაა 50,000 ლარი, წინამდებარე სტანდარტი ყოველთვის რომ ყოფილიყო გამოყენებული (ანუ 60,000 ლარი ღირებულება შემცირებული 10,000 ლარი დაგროვილი ცვეთით);
- შეფასებული საბაზრო ღირებულებაა 55,000 ლარი.

რამდენია ამ ავტომანქანის საბალანსო ღირებულება B საწარმოს 2018 წლის 1 იანვრისთვის, წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად შედგენილ საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში?

ამ ავტომანქანის საბალანსო ღირებულება B საწარმოს საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არის:

- 55,000 ლარი, თუ B საწარმო იყენებს ნებაყოფილობით გამონაკლისს, დასაშვებ ღირებულებას; და
- 50,000 ლარი, თუ B საწარმო არ იყენებს ნებაყოფილობით გამონაკლისს, დასაშვებ ღირებულებას.

ამ სტანდარტზე გადასვლის წესებიდან ნებაყოფლობითი გამონაკლისები (სტანდარტის ხელახალი გამოყენებისას)

- 19.7 საწარმომ, რომელმაც მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი გამოიყენა გასულ პერიოდში, მაგრამ მისი უახლესი წლიური ფინანსური ანგარიშგება შედგენილ იქნა ბუღალტრული

აღრიცხვის სხვა საფუძვლების შესაბამისად (მაგალითად, ფასს სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის):

- (ა) რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტი მე-4 განყოფილების - „სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები“ - შესაბამისად ისე, თითქოს საწარმოს არასდროს შეუწყვეტია ამ სტანდარტის გამოყენება; ან
- (ბ) რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტი მე-4 განყოფილების - „სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები“ - შესაბამისად ისე, თითქოს საწარმოს არასდროს შეუწყვეტია ამ სტანდარტის გამოყენება, ერთადერთი გამონაკლისის დაშვებით, რომ მას შეუძლია აირჩიოს 19.6 პუნქტით გათვალისწინებული ნებაყოფლობითი შეღავათი.

მაგალითი 4- წინამდებარე სტანდარტის ხელახლა გამოყენება

სხვადასხვა მიზეზის გამო საწარმომ, რომელიც წინამდებარე სტანდარტს იყენებს, შეიძლება ნებაყოფილობით გადაწყვიტოს, ან კანონმდებლობით მოეთხოვებოდეს ბუღალტრული აღრიცხვის სხვა საფუძვლებზე, როგორც წესი, მცირე და საშუალო საწარმოების ფასს სტანდარტზე გადასვლა. შემდეგ შეიძლება გარემოებები ისე შეიცვალოს, რომ საწარმო დაუბრუნდეს ამ სტანდარტის გამოყენებას. ასეთ შემთხვევაში, ამ სტანდარტის მიზნებისთვის, წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად შედგენილი ფინანსური ანგარიშგება ვერ მიიჩნევა პირველ ფინანსურ ანგარიშგებად და არც ეს საწარმო მიიჩნევა საწარმოდ, რომელიც პირველად იყენებს წინამდებარე სტანდარტს.

პუნქტის 19.7 (ა) შესაბამისად, ამ სტანდარტის ხელახლა გამოყენებელმა ისე უნდა გამოიყენოს სტანდარტი, თითქოს საწარმოს არასდროს შეუწყვეტია ამ სტანდარტის გამოყენება. თუმცა, პუნქტის 19.7(ბ) შესაბამისად, მას შეუძლია სტანდარტის ხელახლა გამოყენების პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში ნებისმიერი ძირითადი საშუალების (მათ შორის, საინვესტიციო ქონების), ან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივის შეფასება ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის მისი საბაზრო ღირებულების საიმედოდ შეფასებით და შეუძლია ეს ღირებულება გამოიყენოს, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება ზემოაღნიშნული თარიღით.

როგორც მე-4 განყოფილებაშია მითითებული, მიჩნეულია, რომ არაპრაქტიკულია გასული პერიოდების მონაცემების გადაანგარიშება სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გასათვალისწინებლად (იხ. პუნქტი 4.9), ამიტომ საწარმომ, რომელიც დაუბრუნდა ამ სტანდარტის გამოყენებას, მხოლოდ იმ პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი საბალანსო ღირებულებები უნდა გადაიანგარიშოს, როდესაც ხელახლა დაიწყო მოცემული სტანდარტის გამოყენება. მსგავსი გასული პერიოდის შესწორება წარდგენილი უნდა იყოს შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების ცალკე მუხლში „გასული პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა“ (წინამდებარე სტანდარტის ხელახლა გამოყენება).

მაგალითი 5: დასაშვები საწყისი ღირებულება ხელახლა გამოყენებისას

C საწარმოს ხელმძღვანელობამ 2021 წლის 1 იანვრის (C საწარმოს მიერ ამ სტანდარტის ხელახლა გამოყენების თარიღი) მდგომარეობით შემდეგი ინფორმაცია მოიპოვა თავისი ავტომანქანის შესახებ:

- საბალანსო ღირებულებაა 0 ლარი მისი უახლესი წლიური ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, რომელიც შედგენილ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის სხვა საფუძვლებზე (ანუ **80,000** ლარი ღირებულება შემცირებული დაგროვილი ცვეთით);
- საბალანსო ღირებულება **35,000** ლარი, თუ წინამდებარე სტანდარტს გამოიყენებდა ყოველთვის (ანუ **80,000** ლარი ღირებულება შემცირებული **45,000** ლარი დაგროვილი ცვეთით);
- საბალანსო ღირებულება **36,000** ლარი, თუ საწარმო წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად შედგენილ 2018 წლის 1 იანვრის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გამოიყენებდა ნებაყოფლობით გამონაკლისს, დასაშვებ საწყის ღირებულებას და ამ სტანდარტს უწყვეტად გამოიყენებდა 2018 წლის 1 იანვრიდან (ანუ **60,000** ლარის დასაშვები ღირებულება შემცირებული **24,000** ლარის დაგროვილი ცვეთით);
- შეფასებული საბაზრო ღირებულებაა **45,000** ლარი.

რამდენია ამ ავტომანქანის საბალანსო ღირებულება C საწარმოს წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად შედგენილ 2021 წლის 1 იანვრის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში?

ამ ავტომანქანის საბალანსო ღირებულება C საწარმოს წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად შედგენილ 2021 წლის 1 იანვრის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არის:

- 45,000 ლარი, თუ C საწარმო დასაშვები საწყისი ღირებულების ნებაყოფლობით გამონაკლისს იყენებს 2021 წლის 1 იანვარს;
- 36,000 ლარი, თუ C საწარმო დასაშვები საწყისი ღირებულების ნებაყოფლობით გამონაკლისს არ იყენებს 2021 წლის 1 იანვარს, მაგრამ მან დასაშვები საწყისი ღირებულების ნებაყოფლობით გამონაკლისი გამოიყენა 2018 წლის 1 იანვარს; და
- 35,000 ლარი, თუ C საწარმო დასაშვები საწყისი ღირებულების ნებაყოფლობით გამონაკლისს არ იყენებს 2021 წლის 1 იანვარს და მან დასაშვები საწყისი ღირებულების ნებაყოფლობით გამონაკლისი არ გამოიყენა არც 2018 წლის 1 იანვარს.